იუსტიციის
სამინისტრო

ციფრული
მმართველობის
სააგენტო

2023 წლის
ანგარიში

სარჩევი

1. სახელმწიფო სერვისების მიწოდება - MY.GOV.GE 3
2. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა 4
3. სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მხარდაჭერა 5
4. სტრატეგიული დაგეგმვა და საერთაშორისო ურთიერთობები 8
5. სამართლებრივი წარმოება 11
6. ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოება 12
7. სააგენტოს შიდა ორგანიზაციული განვითარება 16
8. საერთაშორისო კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები 17
9. ტექნიკური განვითარება და მხარდაჭერა 19
10. ადამიანური რესურსები 20
11. საფინანსო-საბიუჯეტო საკითხები 20
12. საზოგადოებასთან ურთიერთობა 21

1. სახელმწიფო სერვისების მიწოდება - MY.GOV.GE

- ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი MY.GOV.GE წარმოადგენს საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისების ერთიან ვებ-პორტალს, სადაც ინტეგრირებულია 700-ზე მეტი სერვისი.
- პორტალზე ნავიგაციის გასაუმჯობესებლად მოხდა კატეგორიების და ქვეკატეგორიების რეორგანიზაცია და შეიცვალა პორტალის დიზაინი.
- დასრულდა MY.GOV.GE-ს მობილური აპლიკაციის პირველი ეტაპის დეველოპმენტი და მიმდინარეობს ტესტირება რეალურ გარემოში გაშვებამდე. აპლიკაციაში დაინტეგრირდა პორტალზე ყველაზე მოთხოვნადი სერვისები. ასევე, ახალი საინფორმაციო სერვისები და ციფრული დოკუმენტები.

სტატისტიკა

- სტანდარტულად ინტეგრირებული სერვისების გამოყენების 2023 წლის ჯამური მაჩვენებელი - 1 279 007
- ელექტრონული დოკუმენტის მიწოდების სერვისის გამოყენების 2023 წლის ჯამური მაჩვენებელი - 825 228
- სხვა დანარჩენი სერვისების გამოყენების 2023 წლის ჯამური მაჩვენებელი - 453 779

2. მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურა

- G3 გარემო წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურების ციფრული არხების ჰაბს, რომელიც უზრუნველყოფს ციფრული მონაცემების მიმოცვლას სხვადასხვა უწყებებს შორის. ახდენს პროტოკოლების სტანდარტიზაციას და უზრუნველყოფს ინფორმაციის საიმედო მიმოცვლას.

- დასრულდა მუშაობა სისტემის შემადგენელი რამდენიმე მიკროსერვისის დეველოპმენტზე. MVP დეველოპმენტის პირველი ფაზის სამუშაოები მიმდინარეობს აქტიურ რეჟიმში. კერძოდ, მომზადდა პროექტის განხორციელებისთვის საჭირო დეველოპმენტ გარემო, ჩამოყალიბდა სისტემის კომპონენტების მონაცემთა სტრუქტურები.

სტატისტიკა

- ინფრასტრუქტურაში ჩაერთო 5 ახალი ორგანიზაცია. ჯამში ჩართულია 14 ორგანიზაცია
- ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობამ შეადგინა 44 857 284 ერთეული.
  ჯამში 126 613 772 ერთეული.
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო ინფრასტრუქტურის გავლით გაგზავნილი დოკუმენტების რაოდენობა 251 146. ჯამში - 1 309 255.

3. სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მხარდაჭერა

პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციის მართვის ელექტრონული სისტემა - PDCEMS

- შესრულებულია სისტემის მომხმარებლებისა და როლების მართვის მოდული, კლასიფიკატორები, ჩანართები, საქაღალდეები, შაბლონები და ა.შ. მიმდინარეობს დეველოპმენტი როლების შეზღუდვებსა და დაშვებებზე, მოდულებსა და შაბლონების შეზღუდვებზე.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების სისტემა (cis.gov.ge; e-enforcement.ge)

- მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმისწარმოების სისტემის სასამართლოსთან ინტეგრირებისთვის დეველოპმენტის და ტესტირების პროცესი. მოთხოვნის შესაბამისად განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსში შესული ცვლილებების პროგრამული ასახვა და სტატისტიკის მოდულის ხარვეზების აღმოფხვრა. მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე ახალი ქმედების დამატებაზე.

სამართლებრივი დაახლოების ელექტრონული პლატფორმა

- დაზუსტდა და შეთანხმდა სისტემაში განსახორციელებელი ცვლილებები და მათი დიზაინი. შეიცვალა ინტერფეისის რამდენიმე დეტალი. მიმდინარეობს მუშაობა ცვლილებების გადატანაზე რეალურ გარემოში.

ელექტრონული მართვის სისტემა EMS

- რეალურ გარემოში გაეშვა EMS-ის სამუშაო დროის აღრიცხვის მოდული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და ადამიანური რესურსების მართვის სამსახურში. დეს-ის განახლების ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა სხვადასხვა იუზერ სთორებზე. მიმდინარეობს მუშაობა რედიზაინზე.

სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა

- მიმდინარეობს სამუშაო ტექნიკური ჯგუფის ჩამოყალიბება და არქიტექტურაზე მუშაობა.

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მართვის ავტომატური საშუალებების სისტემა

- მიმდინარეობს დოკუმენტის შექმნის მოდულის დეველოპმენტი PublishMatsne-ს ვებაპლიკაციის ნაწილში. ასევე, ადმინისტრირების პანელის კომპონენტების დეველოპმენტი matsne.gov.ge-სა და UploadMatsne-ს ნაწილში.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებგვერდი nbe.gov.ge

- მიმდინარეობს ვებგვერდის დეველოპმენტი.

ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი acb.gov.ge

- მიმდინარეობს შშმ პირების მოდულზე მუშაობა და ძიების კომპონენტის დახვეწა.

იუსტიციის სახლის ვებგვერდი psh.gov.ge

- განახლებული დიზაინის ძირითადი კომპონენტები დამტკიცებულია დამკვეთის მხრიდან. პარალელურად მიმდინარეობს მუშაობა ადმინ პანელზე.

ნოტარიუსთა სისტემის განახლება

- დასრულდა მუშაობა მოთხოვნათა ანალიზის დოკუმენტზე.

ინდივიდუალური აქტების რეესტრი

- იუსტიციის სამინისტროს მართვის სისტემის ნაწილში სერვისზე მუშაობა დასრულებულია. დაწყებულია სერვისით რეალურ გარემოში სარგებლობა. იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოყოფილი პირების მხრიდან გარკვეული ინდ. აქტები ისახება მინისტრის პორტალზე შესაბამის საქაღალდეში. მიმდინარეობს აღნიშნულის მონიტორინგი.

მინისტერიალის ვებგვერდი

- ვებგვერდი გაეშვა რეალურ გარემოში. პერიოდულად მიმდინარეობს სამინისტროდან მიღებული გასაახლებელი ინფორმაციის ასახვა ვებგვერდზე.



სპეციალური პენიტენციური სამსახურის ვებგვერდი

- შეთანხმების პროცესშია ვებგვერდის შემადგენელი კომპონენტები და დიზაინი.

საქართველოს ეროვნული არქივის ელექტრონული სისტემა

- დასრულდა ბიზნეს ანალიზის დოკუმენტზე მუშაობა.

EMS- საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელებისა და დაგეგმვის მონიტორინგის ელ. სისტემა (მრავალწლიანი სამოქმედო გეგმა)

- გაეშვა რეალურ გარემოში. დაზუსტდა და შეთანხმდა სისტემაში განსახორციელებელი ცვლილებები და მათი დიზაინი. შეიცვალა ინტერფეისის დეტალები და დაემატა შუალედური გვერდი.

სტრატკომი - ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრების შესახებ საქართველოს მთავრობის კომუნიკაციის სტრატეგია

- დეველოპმენტი დასრულებულია. მიმდინარეობს ტესტირებისას აღმოჩენილი ბაგების გასწორება.

კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ელექტრონული სისტემა

- დასრულდა მომხმარებლების მართვისა და კლასიფიკატორების მოდული, მიმდინარეობს ბექლოგის დამუშავება.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა

- მიმდინარეობს არსებული ბიზნეს პროცესის აღწერა და წინასაპროექტო სამუშაოები.

PSH - იუსტიციის სახლის სერვისების პორტალი

- მიმდინარეობს სტატიკური ტექსტების ცვლილება შსს-ს ორ სერვისზე - „ნასამართლობის ცნობა“ და „ცნობა საზღვრის კვეთის შესახებ“. სემეკის სერვისზე - “საჩივარი ან სხვა განაცხადი” მიმდინარეობს განხორციელებული ცვლილებების ტესტირების პროცესი.

წლის განმავლობაში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა ზევით ჩამოთვლილი ყველა სისტემის/ ვებ-გვერდის ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი.

4. სტრატეგიული დაგეგმვა და საერთაშორისო ურთიერთობები

- დასრულების ეტაპზეა საქართველოს, რიგით მეორე ციფრული მმართველობის სტრატეგიის (2024-2027 წწ.) და მისი ორწლიანი სამოქმედო გეგმის პროექტებზე მუშობა. დოკუმენტები ამჟამად გადის ტექნიკურ რევიზიას საქართველოს მთავრობის №629 დადგენილების მოთხოვნებთან მიმართებით. 2024 წლიდან დაგეგმილია სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხილვა პასუხისმგებელ და პარტნიორ უწყებებთან, რის შემდეგაც საბოლოო დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება საჯარო განხილვებისთვის. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროექტები წლის დასაწყისში წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.
- დასრულდა მუშაობა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს სერვისების კატალოგზე. სერვისების მიმწოდებელ სხვა საჯარო უწყებებთან ერთად, მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო სერვისების შეფასებაზე და მიწოდების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე.
- კიბერუსაფრთხოების ეროვნული 2021-2024 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში პერმანენტულად მიმდინარეობს სამუშაო შეხვედრები დონორ ორგანიზაციებთან იმ აქტივობების შესრულების მიზნით, რომელთა აღსრულების პროცესშიც შესაძლოა სააგენტომ მიიღოს მხარდაჭერა. პარალელურად მიმდინარეობს სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების პროცესი.
- "ხედვა 2030 საქართველოს განვითარების სტრატეგიით“ განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, შემუშავდა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს 2024 წლის სამოქმედო გეგმა.
- ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების სტრატეგიის ფარგლებში, შემუშავდა სსიპ ციფრული მამრთველობის სააგენტოს 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა.
- შემუშავდა შშმ პირთა უფლებების დაცვის შესახებ იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

- სახელმწიფო სერვისების განვითარების 2022-2025 წლების სტრატეგიის ფარგლებში, შემუშავდა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა .

- ევროკავშირის დაძმობილების პროექტის „კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში“ მხარდაჭერით და სსიპ - ციფრული მმართველობის სააგენტოს ინიციატივით დაფუძნდა კიბერუსაფრთხოების სფეროში საჯარო-კერძო პარტნიორობის პლატფორმა (GCPPP), რომელიც მიზნად ისახავს კიბერუსაფრთხოების სფეროში ეროვნულ დონეზე სხვადასხვა მანდატის მქონე საჯარო და კერძო ორგანიზაციებსა და კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებს შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებას და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა პლატფორმის კონცეფციის და პროცედურების დოკუმენტებზე.

- გაერთიანებული სამეფოს სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ქლევერლი საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში ციფრული მმართველობის სააგენტოს ეწვია. მაღალი რანგის სტუმარი ადგილზე გაეცნო კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფის საქმიანობის სპეციფიკას და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სისტემებს.

- დასრულდა მუშაობა 2023-2028 წლების კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე. დოკუმენტები ითარგმნა ქართულ ენაზე და 2024 წლის დასაწყისში დაგეგმილია მისი დამტკიცება.

- მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, უცხოელი ექსპერტებისა და სააგენტოს თანამშრომლების მიერ შემუშავდა და ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, დამტკიცდა ქვეყნისათვის სტრატეგიულად და მატერიალურად მნიშვნელოვანი IT პროექტების მართვის ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტი.

- მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განახლებულია ურთიერთთავსებადობის ჩარჩო დოკუმენტი და შემუშავებულია გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის ურთიერთთავსებადობის ჩარჩო დოკუმენტის შემოკლებული ვერსია ინგლისურ ენაზე. დოკუმენტი გადის საბოლოო რევიზიას ციფრული მმართველობის სააგენტოს რელევანტური თანამშრომლების მხრიდან. პარალელურად მიმდინარეობს კონსულტაციები უცხოელ ექსპერტებთან. იგეგმება დოკუმენტის თარგმნა ქართულ ენაზე.

- ციფრული მმართველობის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით შეიქმნა სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის კომისია, რომლის მიზანია - სააგენტოს IT პროექტების წარმატებით წარმართვის ხელშეწყობა, საორგანიზაციო/ტექნოლოგიური საკითხების მხარდაჭერა, სამუშაოების მსვლელობისას წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზებისა და განსახორციელებელი სამუშაოების განსაზღვრა.

- შეივსო და გაიგზავნა ტელეკომუნიკაციის საერთაშორისო კავშირის (ITU-ს) „გლობალური კიბერუსაფრთხოების ინდექსის“ შეფასების კითხვარი. ინდექსი ამოწმებს, არსებობს თუ არა ქვეყანაში სამართლებრივი, ტექნიკური, საორგანიზაციო, შესაძლებლობების გამაძლიერებელი და თანამშრომლობის ინსტრუმენტები და განსაზღრავს ქვეყნის პოზიციას ITU -ს წევრ 193 ქვეყანას შორის.

- ევროკავშირის დაძმობილების პროექტის „კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში“ (EU Twinning for Strengthening Cybersecurity in Georgia) ფარგლებში გაიმართა შემაჯამებელი კონფერენცია, რომელსაც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. პროექტის დაფინანსებით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა NIS 2 დირექტივების შესახებ, რომელსაც ციფრული მმართველობის სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლების გარდა, მონაწილეობა მიიღეს კიბერუსაფრთხოების სფეროში ეროვნულ დონეზე სხვადასხვა მანდატის მქონე ორგანიზაციებმა.

- USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამამ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ დაძმობილების პროექტთან “კიბერუსაფრთხოების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში” თანამშრომლობით ენერგეტიკულ კიბერ სამაგიდო ტექნიკური სავარჯიშო გამართა. ამ ღონისძიების მიზანია გააძლიეროს საქართველოს ენერგეტიკული სექტორის კომპანიების, ეროვნული კიბერ და ენერგეტიკული მარეგულირებელი უწყებების ტექნიკური შესაძლებლობები, რათა მათ შეძლონ კიბერრისკების შეფასება და კომპლექსური კიბერსაფრთხეების მოგერიება.

- აქტიურად მიმდინარეობს ციფრული მმართველობისა და კიბერუსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან (როგორიცაა, EU, ITU, UN, FIRST, OSCE და სხვა) და დონორებთან (UNDP, USAID, GIZ, UK Embassy, US Embassy) ურთიერთობა და მათთვის ინფორმაციის მიწოდება. სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ამ სფეროში სხვადასხვა დონორი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში და ესწრებიან სწავლების ღონისძიებებს (Cyber East, OSCE CBMs, OECD, EU4Digital და სხვა).

5. სამართლებრივი წარმოება

- მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის მომზადდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფორმად ითვალისწინებს გაფრთხილებას.
- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის მიზნით სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტომ“ ხელშეკრულებები გააფორმა პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებთან.
- მიმდინარეობდა მუშაობა ეროვნულ ბანკთან, კომერციულ ბანკებთან და ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან გაფორმებული მემორანდუმის განახლების მიზნით.
- გაფორმდა ინფორმაციული უსაფრთხოების მხარდამჭერი მართვის სისტემასთან დაკავშირებული ტრენინგის ჩატარებისა და სერტიფიცირების ხელშეკრულებები. ასევე, ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით არსებული მდგომარეობის (GAP) ანალიზის დოკუმენტის შექმნის ხელშეკრულებები.
- შემუშავდა დოკუმენტი სააგენტოს თანამშრომლების მიერ, მუშაობის პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შესახებ.
- განხორციელდა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტის რევიზია.
- განხორციელდა ბილინგის სისტემის შექმნის მიზნით გასაფორმებელი წინარე ხელშეკრულების რევიზია.
- მიმდინარეობს მუშაობა სააგენტოში არსებული ხელშეკრულებების რეესტრის შექმნაზე.
- მომზადდა პროექტი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ციფრული მმართველობის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 4 აგვისტოს N590 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობის ეფექტიანობას, მათ შორის, გაზრდის ციფრული მმართველობის სფეროში სააგენტოს ფუნქციების შესრულების ხარისხს.

6. ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება

კონსულტაციები, რეკომენდაციები

- მიმდინარეობდა მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტის მიერ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტაციის ანალიზი. პერმანენტულად მიმდინარეობს მათი კონსულტირება სხვადასხვა საკითხებზე, რეკომენდაციების გაცემა და ინფორმირება მეორე წლის შესასრულებელ მინიმალურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.
- დასრულდა ინფორმაციული უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის (GAP) ანალიზის დოკუმენტის შემუშავება პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში.
- ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტმა განიხილა მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერების კანდიდატების კვალიფიკაცია, რის შემდეგაც სააგენტომ ორგანიზაციებს წარუდგინა დასკვნა კანდიდატების ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერისადმი დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის/კანდიდატის ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერად დანიშვნის მიზანშეწონილობის შესახებ.
- მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების განახლებაზე (ISO 27001-ის 2013 წლის ვერსიიდან, 2022 წლის ვერსიაზე), რომლის დაკმაყოფილება მესამე კატეგორიის ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის სუბიექტებს მოუწევთ 2025 წლიდან. ასევე დასრულების ეტაპზეა საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 27002:2013 ქართულენოვანი სამუშაო ვერსია.
- ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტმა განახორციელა შპს „ტავ ურბან საქართველოს“ კრიტიკული სისტემების ანალიზი სააგენტოს მიერ შემუშავებული „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების იდენტიფიცირების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად. ანალიზის შედეგად ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტმა დაადგინა შპს „ტავ ურბან საქართველოს“ კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტად განსაზღვრის მიზანშეწონილობა.
- საანგარიშო პერიოდში „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას“ გაეწია მომსახურება, რომლის მიზანი იყო ორგანიზაციებში ინფორმაციული უსაფრთხოების კუთხით არსებული სიტუაციის შესწავლა, ანალიზი, ბიზნეს პროცესების გამოვლენა და მომავალში განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დასანერგად.



კიბერინციდენტების აღმოჩენა და რეაგირება

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფმა (CERT) რეაგირება მოახდინა საქართველოს კიბერსივრცეში დაფიქსირებულ 400-მდე ინციდენტზე.

- მომზადდა შეღწევადობის ტესტირების ანგარიშების აღრიცხვის ეფექტური სისტემა, სადაც ინახება დეტალური ინფორმაცია და რეპორტები თითოეული განხორციელებული შეღწევადობის ტესტირების შესახებ.
- მომზადდა კიბერინციდენტებზე რეაგირების სახელმძღვანელო, სააგენტოს შესაბამისი თანამშრომლების მიერ დოკუმენტის საბოლოო რევიზიის შემდეგ, იგეგმება სახელმძღვანელოს გაზიარება მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტებისთვის.
- განხორციელდა არაერთი ,,ციფრული მმართველობის სააგენტოს“ მიერ შექმნილი/ დამუშავებული ვებგვერდების პროგრამული კოდის ანალიზი და შეღწევადობის ტესტირება, რომელთა საფუძველზეც მომზადდა შესაბამისი ანგარიში.
- საქართველოს ინტერნეტსივრცეში გადამოწმდა იმ ქართული სახელმწიფო დომენების მისამართები, რომლებიც დაუცველ HTTP პროტოკოლზე მუშაობენ, მომზადდა რეკომენდაციები და გაეგზავნათ შესაბამის პასუხისმგებელ პირებს.
- მუდმივად ხორციელდება კიბერინციდენტებზე რეაგირება და გავრცელებული ფიშინგის შემთხვევების დაბლოკვა ინტერნეტ სერვის პროვაიდერებთან კომუნიკაციის გზით.

სწავლება, ცნობიერების ამაღლება

- 2023 წლის განმავლობაში რამდენიმე ეტაპად ჩატარდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის მენეჯერების სასერტიფიკაციო გამოცდა.
- პირველი კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტში (სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე და საქართველოს ეროვნული არქივი) ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი - „ ინფორმაციული უსაფრთხოების აქტივების და რისკების მართვა“.
- პირველი და მეორე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისთვის ჩატარდა 5 დღიანი ტრენინგები - „ინფორმაციული უსაფრთხოება: შესავალი, დანერგვა აუდიტი“.
- წარმატებით განხორციელდა „Cyber Winter 2023“ ღონისძიება ონლაინ რეჟიმში. Elearning.gov.ge ვებგვერდზე მომზადდა შესაბამისი კურსი. ნებისმიერ დაინტერესებულს პირს აქვს საშუალება, უფასოდ გაიაროს აღნიშნული კურსი და მიიღოს დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- შემუშავდა სტაჟირების პროგრამის პროექტი; მომზადდა კიბერსავარჯიშოს სიმულაციური სისტემა და იგეგმება მისი საჯაროდ გაზიარება, რომლის მეშვეობითაც იგეგმება სტაჟირების მიზნით დაინტერესებული პირების მოძიება.
- მომზადდა კიბერუსაფრთხოების პროფესიული 6 თვიანი ფასიანი კურსის სილაბუსი და იგეგმება მისი განხორციელება.
- განახლდა ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებთან დაკავშირებული არსებული ცნობიერების ამაღლების პროგრამა და შესაბამისი საპრეზენტაციო მასალის მომზადება შემდგომში სხვადასხვა ორგანიზაციაში პროფესიული განათლების გაუმჯობესების მიზნით.

- სამწლიანი პროექტის - „გაერთიანებული სამეფო - საქართველოს კიბერთანამშრომლობა" (UKGCP) მხარდაჭერით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კიბერ და ონლაინ საფრთხეების შესახებ ცნობადობის ამაღლების ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანიები.

- საქართველოს კიბერუსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში, ევროკავშირის ხელშეწყობითა და ციფრული მმართველობის სააგენტოს ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგები კიბერუსაფრთხოების სფეროს პროფესიონალების განვითარებისთვის. სასწავლო კურსი განკუთვნილი იყო პირველი და მესამე კატეგორიის კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მენეჯერული რგოლის წარმომადგენლებისთვის.

- NIST საერთაშორისო დირექტივის სტანდარტების, SANS Institute-ის და eLearnSecurity-ის სწავლების მეთოდების შესაბამისად შემუშავდა და წარმატებით განხორციელდა სასწავლო ტრენინგ მოდული - „ეთიკური ჰაკინგი".

7. სააგენტოს შიდა ორგანიზაციული განვითარება

კვალიფიკაციის ამაღლება

- ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ISO 27001 – ISO 27006 - ის ტრენინგში.
- ინფორმაციული და კიბერუსაფრთხოების, ასევე იურიდიული მიმართულებების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს NIS 2 workshop-ში.
- ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაიარეს სასწავლო კურსი - ISO 27001 Lead Implementer და წარმატებით ჩააბარეს სასერტიფიკაციო გამოცდა.
- ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრაში - „ქალები კიბერუსაფრთხოებაში“.
- ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საჯარო-კერძო პარტნიორობის სადამფუძნებლო შეხვედრასა და Twinning - ის დახურვის ღონისძიებაში.
- ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა და ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში - „CQI and IRCA Certified ISO/IEC 27001:2022 Information Security Management Systems (ISMS) Lead Auditor Training Course (PR373)“.
- ინფორმაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გაიარეს BSI-ს ტრენინგი ISO 27001-2022 Lead Auditor და წარმატებით ჩააბარეს გამოცდა.

8. საერთაშორისო კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები

- სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს NATO-ს CCDCOE -ის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაზე - „CyCon 2023“.
- კიბერუსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კიბერუსაფრთხოების ფესტივალზე „IFCS International Cybersecurity Festival 2023“.
- კიბერუსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს USAID-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე „LoC Signing Ceremony“.
- „მოლდოვას ციფრული სამიტი 2023“ - ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში - ,,საჯარო კერძო პარტნიორობა ციფრული მმართველობის პროცესში“ და შეხვედრის მონაწილეებს ამ მიმართულებით საქართველოში მიღწეული შედეგები გააცნო.
- „ციფრული ტრანსფორმაციის ფორუმი 2023“ - ციფრული მმართველობის სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს პანელურ დისკუსიებში.
- ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ფინეთში ევროპის ინტერნეტ მმართველობის ფორუმზე - „EURODIG 2023“;
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა საჯარო ადმინისტრირებისა და ციფრული მიღწევების შესახებ მოლდოვაში, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამუშაო შეხვედრაზე ისაუბრეს.
- საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში გამართულ ცნობიერების ამაღლების სამუშაო შეხვედრებზე სახელმწიფო სერვისების მიწოდებასა და ციფრული მმართველობის განვითარების ტენდენციები მიმოიხილეს სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს ეწვია აშშ-ის კიბერსარდლობის კიბერუსაფრთხოების ეროვნული მისიის ხელმძღვანელი და საქართველოში კიბერუსაფრთხოების სფეროს გამოწვევები განიხილა.
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს ისრაელის ელჩი და Cyberpro-ს ბიზნესის განვითარების გლობალური გადაწყვეტილებების ვიცე პრეზიდენტი ესტუმრა, შეხვედრაზე მხარეებს შორის საგანმანათლებლო მიმართულებით თანამშრომლობაზე იმსჯელეს.
- კიბერუსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს „SANS CEE Cyber Tournament 2023” ღონისძიებაში.
- სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს კიბერუსაფრთხოების საერთაშორისო კონკურსში - The European Cyber Security Challenge (ECSC). კონკურსი მოიცავდა სპეციალური IT უსაფრთხოების დავალებებს, შეტევებს და თავდაცვის სიმულაციებს.

- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტომ და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სერვისების შექმნისა და მიწოდების საკითხებზე მესამე რეგიონულ სემინარს უმასპინძლეს. ხუთდღიანი სემინარის მიზანი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში სახელმწიფო სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებისათვის გამოცდილების გაზიარება. სემინარი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონული ფონდის მხარდაჭერით გაიმართა.

- ციფრული მმართველობის სააგენტოს თანამშრომლებმა, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმზე - ,,ქალები კიბერუსაფრთხოებაში“, საქართველოში კიბერუსაფრთხოების მიმართულებით განხორციელებული აქტივობები წარადგინეს. ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს კიბერუსაფრთხოების სფეროში არსებული საერთაშორისო პოლიტიკის და კიბერდიპლომატიის საკითხები და გაუზიარეს ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკული გამოცდილებები.

- სააგენტოს თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციაში - „Intermarium Cyber Security Forum 2023”. სააგენტოს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო პანელურ დისკუსიაში თემაზე - „კრიტიკული ინფრასტრუქტურის გაციფრულება“.

- უზბეკეთის კიბერუსაფრთხოების ცენტრის ორგანიზებით გამართულ კიბერუსაფრთხოების სამიტზე ,,ცენტრალური ევრაზია 2023“ სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა ამ მიმართულებით საქართველოში არსებულ მდგომარეობასა და განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრეს. სამიტის ფარგლებში ციფრული მმართველობის სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს პანელურ დისკუსიებში, რომელიც კიბერუსაფრთხოების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას ეძღვნებოდა.

9. ტექნიკური განვითარება და მხარდაჭერა

- მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები ქსელური ინფრასტრუქტურის განახლების კუთხით. დასრულდა მუშაობა ობიექტურ მონაცემთა შესანახი სისტემის გაფართოებაზე და საგარანტიო მომსახურების შესყიდვაზე. დაინერგა პროექტების მართვის და დავალებების მენეჯმენტის სისტემა -Jira.
- ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფმა რეაგირება მოახდინა 90 011 ინციდენტზე. ოპერაციული სისტემა განახლდა და ერთიან შიდა საკომუნიკაციო ქსელში ჩაერთო 1500-მდე კომპიუტერი;
- საანგარიშო პერიოდში სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტომ“ IT და ინტერნეტ მომსახურება გაუწია 43 ორგანიზაციას.
- გაიცა რეკომენდაციები პრობაციის ბიუროში და იუსტიციის სასწავლო ცენტრებისთვის ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით.
- ციფრული მმართველობის სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მოხდა იუსტიციის სახლის ტექნიკური პრობლემის შესწავლა და რეკომენდაციის მომზადება, რის საფუძველზეც იუსტიციის სახლებში არსებული ხარვეზები განახლებულ კომპიუტერებთან დაკავშირებით მოგვარდა.

10. ადამიანური რესურსები

ამჟამად სააგენტოში გათვალისწინებულია ჯამში შტატით 151 პოზიცია და 160 შრომითი ხელშეკრულება (40 ერთეული მიზნობრივი გრანტების ფარგლებში).

226 პოზიცია შევსებულია:

- 114 თანამშრომელი შტატით;
- 112 თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულებით (მოიცავს 3 ტექნიკურ დამხმარეს);
- 14 დუბლირებული თანამშრომელი შრომითი ხელშეკრულებით UNDP-ის გრანტის ფარგლებში;
- 7 ანაზღაურების გარეშე სტაჟიორი;
- 29 ვაკანსია;

11. საფინანსო საკითხები

დამტკიცებული ბიუჯეტი - საკუთარი სახსრები 18 725 000; საბიუჯეტო ასიგნებები 4 000 000

შემოსავალი - საკუთარი შემოსავლები 19 659 681,61 ლარი

გასავალი (ხარჯები) - საკუთარი სახსრები 17 868 859,36; საბიუჯეტო ასიგნებები 3 999 800,37

ნაშთი - საკუთარი სახსრები 4 236 711.25

12. საზოგადოებასთან ურთიერთობა

საინფორმაციო კამპანია კიბერუსაფრთხოების შესახებ

საზოგადოებაში კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაიმართა ორი ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია გაზაფხულსა და შემოდგომაზე. კამპანიის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- კამპანიის მიზნებისთვის შეიქმნა ინსტაგრამ გვერდი;
- შეიქმნა სპეციალური საინფორმაციო ვებგვერდი კიბერუსაფრთხოების ფარგლებში კითხვა პასუხებით;
- საინფორმაციო ბანერები განთავსდა სააგენტოს ფეისბუკ და ინსტრაგრამ გვერდებზეს; საქართველოს მასშტაბით რეგიონების დიდ ქალაქებში განთავსდა საინფორმაციო გარე (ქუჩის) ბანერები;
- მომზადდა და სოციალური ქსელებითა და იუთუბ არხით გავრცელდა ვიდეო რგოლები აზრის ლიდერებისა და კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების მონაწილეობით.
- შეიქმნა ანიმაციური პერსონაჟი სახელად ,,იო, რომელიც არის ჭკვიანი, გონიერი, სფეროში გარკვეული და გვაძლევს რჩევებს. ,,იო“ მონაწილეობს კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ ყველა გრაფიკულ და ონლაინ აქტივობაში. იოს რჩევებით მომზადდა გრაფიკული ვიდეორგოლები;
- პლატფორმაზე imitom.ge (რომელიც ძალიან პოპულარულია მოზარდებსა და ახალგაზრდებში) განთავსდა კიბერუსაფრთხოების შესახებ სტატია. სტატიები გადაზიარდა imitom.ge-ის ფბ- გვერდზეც.
- პლატფორმაზე davita.ge (რომელიც ძალიან პოპულარულია მოზარდებსა და ახალგაზრდებში) ინტეგრირდა 30 კითხვა თამაში კიბერუსაფრთხოების ფარგლებში. ამავე პლატფორმის ფეისბუკ გვერდზე განთავსდა 5 სტატია;
- პორტალზე On.ge განთავსდა ქვიზები კიბერუსაფრთხოების შესახებ;
- შეიქმნა კომიქსები;
- შეირჩა ცნობილი ინფლუენსერები, რომელთაც თავიანთ tik-tok გვერდებზე განათავსეს კიბერრჩევები;



- სოციალური რეკლამის სტატუსით ვიდეო რგოლები გავიდა 4 ტელევიზიის ეთერით. ასევე მონაწილეობა მივიღეთ სატელევიზიო და რადიო გადაცემებში.
- კიბერუსაფრთხოებისა და კიბერჰიგიენის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, „იუსტიციის სახლში“ მოქალაქეებისთვის სახალისო და შემეცნებითი კონკურსები მოეწყო.

სტატისტიკა

- სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა 36 საინფორმაციო რელიზი;
- ფეისბუკ გვერდზე გამოქვეყნდა 62 საინფორმაციო პოსტი და სხვა სახის ინფორმაცია;
- მომზადდა და გამოქვეყნდა 15 ვიდეორგოლი;
- მონაწილეობა მივიღეთ 20 სატელევიზიო გადაცემაში;
- მონაწილეობა მივიღეთ 16 რადიო გადაცემაში;
- სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს „ ფეისბუქ“ პოსტებმა მოიცვა მილიონზე მეტი ადამიანი;
- ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 100 ათასამდე ადამიანი.

იუსტიციის
სამინისტრო

ციფრული
მმართველობის
სააგენტო